ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–6

2022 წელი, 28 იანვარი, 15:00 სთ. ქ. თბილისი;
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ნინო რუხაძე
გიორგი ონიანი
ცოტნე კობერიძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. ქალაქ თბილისის საკრებულოს კომისიათა შემადგენლობის ცვლილების თაობაზე საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა,** სხდომაზე დამწრე წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი გააცნო, რომელიც თბილისის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის ცვლილებას ეხება. როგორ კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, ცვლილება საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა და სარევიზიო კომისიების შემადგენლობაში შედის. საკრებულოს წევრები ამ კომისიებში კვოტების შესაბამისად გადანაწილდებიან.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მ/წლის 25 იანვარს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს შესაბამისი წერილით მიმართა ამავე საკრებულოს ფრაქციის ,,თბილისი-საქართველოსთვის" თავმჯდომარემ **ზაზა თავაძემ,** რომლითაც აცნობა, რომ ფრაქციაში გაწევრიანდა საკრებულოს წევრი დავით ფარცვანია.

- **ლევან ჟორჟოლიანმა** იქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნულ წერილს თან ახლავს ფრაქციის „თბილისი-საქართველოსთვის“ 2022 წლის 25 იანვრის სხდომის ოქმი, რომლის თანახმადაც, ფრაქცია წარადგენს ფრაქციის წევრ - **დავით ფარცვანიას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო** კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრად.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ მ/წლის 27 იანვარს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს შესაბამისი წერილით მიმართა ამავე საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ

ოთარ გრიგოლიამ, რომლითაც წარმოადგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში** გაწევრებისთვის **აკაკი ალადაშვილის** კანდიდატურა.

- წერილს თან ერთვის ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 2022 წლის 27 ნოემბრის N8 სხდომის ოქმი, რომლის თანახმადაც აკაკი ალადაშვილმა თავად მიმართა ფრაქციის თავმჯდომარეს და გამოთქვა სურვილი, რომ დატოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობას და შეუერთდეს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

დასასრულს, **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, დაცულია ფრაქციის მიერ კომისიებში წევრის წარდგენის წესი და წარმოდგენილი ცვლილება შეესაბამება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებულ კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს, კომისია დანართის სახით წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობას, რომელიც ცნობის სახით უნდა მიიღოს ამავე საკრებულოს ბიურომ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად გადაწვიტეს, რომ დაცულია რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურული წესი და აღნიშნეს, რომ კომისიის მიერ დანართის სახით წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობა უნდა წარედგინოს ბიუროს ცნობის სახით მისაღებად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია